ხელშეკრულება N 30

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გორი 14.12. 2016 წელი

ერთის მხრივ,დიმიტრი ყიფიანის სახ. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიშხეთის საჯარო სკოლა(შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მანანა ბასიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სანიტარული ზედამხედველობა", მისი დირექტორის დავით მაყაშვილის სახით(შემდგომში - მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი წყლის სასმელად ვარგისიანობის დადგენის მიზნით მომსახურებება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 CPV—7180000

1.3 CPV—7190000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება 150 **(სორმოცდაათი) ლარით.**

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდელობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთოვნებს.

4.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ადგილი

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილია: ქვიშხეთი; მიწოდების ვადაა 2016 წლის 31დეკემბერი;

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დარექტორი მანანა ბასიაშვილი.

5.3 მომსახურების გაწევის პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები).

5.4. შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე /სასაქონლო ზედნადებზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი მანანა ბასიაშვილი

5.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზის გამოსწორება.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30(ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

_ განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3.შემსყიდველი ვალდებულია:_ მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:_ მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:_ შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება წარმოშობილი მოთხოვნილების შესაბამისად._ დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
8.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისულებს მხარეებს ძირითადი ვალდებეულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **სკოლის დირექტორი მანანა ბასიაშვილი**

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

დიმიტრი ყიფიანის სახ. ქვიშხეთის საჯარო სკოლა
ხაშურის რ-ნი სოფ. ქვიშხეთი
საიდენტიფიკაციო კოდი: N243873965
GE52LB0121164981604000
სს „ლიბერთი ბანკი“, კოდი LBRTGE22

სკოლის დირექტორი _____ მ. ბასიაშვილი

ტელ: 551099880

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „სანიტარული ზედამხედველობა“
გორი, ბარნოვის ქ.N9; ტელ:0370275341
ს.ს.საქართველოს ბანკი - ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის ნომერი GE81BG0000000202495000
ს/კ 218072788

დირექტორი დავით მაყაშვილი
ტელ:599708055

მიღება-ჩაბარების აქტი

სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზის შესახებ

20 .12.2016 წელი

ქ.გორი

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ შპს „სანიტარული ზედამხედველობა“, მისი დირექტორის დავით მაყაშვილის სახით(შემდგომში მიმწოდებელი), ხოლო მეორეს მხრივ სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), მისი წარმომადგენლის სკოლის დირექტორის **მანანა ბასიაშვილის** სახით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლმა შეასრულა 2016 წლის 14 დეკემბრის N30 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება- სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზის შესახებ.

საერთო ღირებულებაა 150(ასორმოცდაათი) ლარი.

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:		მიმწოდებელი:
სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახ. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვიშხეთის საჯარო სკოლა ხაშური სოფ. ქვიშხეთი ს/ კოდი: N243873965 ა/ა GE52LB0121164981604000 სს“ლიბერთი ბანკი“ ხაშურის ფილიალი მფო LBRTGE22 სკოლის დირექტორი _____ მანანა ბასიაშვილი ბ.ა.		შ.პ.ს. „სანიტარული ზედამხედველობა“ გორი, ბარნოვის ქ.N9; ტელ:0370275341 ს.ს.საქართველოს ბანკი - ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის ნომერი GE81BG0000000202495000 ს/კ 218072788 დირექტორი დავით მაყაშვილი ტელ:599708055